

**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ურთიერთობა
ცენტრალური ხელისუფლებასთან;**

დეცენტრალიზაცია

დეცენტრალიზაციის არსი და მნიშვნელობა.

დეცენტრალიზაცია ეს არის დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ანუ დეცენტრალიზაცია სახელმწიფოს ფარგლებში მოიცავს გარკვეული მომსახურების შესრულების უფლებამოსილების გადაცემას ცენტრალური მთავრობიდან ხალხთან (საზოგადოებასთან) უფრო „ახლოს“ მყოფი უწყებისათვის. ბოლო ხანებში მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში შეინიშნება ცენტრალურ ადგილობრივი ურთიერთობის სტრუქტურის დეცენტრალიზაციისკენ გამოკვეთილი გლობალური ტენდენცია. რაც უკავშირდება სახელმწიფო სექტორის რეფორმისა და ახალი სახელმწიფო მენეჯმენტის გავრცელებას. ამიტომ ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც განვითარებადი ქვეყნის სტატუსს ატარებს, აუცილებელია სახელმწიფო სექტორის რეფორმის პროგრამა. სწორედ ახალი სახელმწიფო მენეჯმენტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დეცენტრალიზაცია, რომლის ასპექტებს წარმოადგენს ორგანიზაციების შიგნით გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობების გადაცემა მთავრობის დაბალი იარუსებისთვის, სახელმწიფო მომსახურების სფეროების შეკვეცა და ტრადიციულად სამთავრობო მონოპოლიური საქმიანობის სფეროების კერძო სექტორისთვის გადაცემა. უფლებამოვალეობის გადაცემა ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივი თვითმმართველობისთვის სხვადასხვა ხარისხის შეიძლება იყოს. თუმცა ნებისმიერი სახის დეცენტრალიზაციის განხორციელება შეუძლებელია სუბსიდიარობის პრინციპის დაცვის გარეშე, რაც ევროპული ქარტიის მიხედვით რეალური დეცენტრალიზაციის განხორციელების უმთავრესი წინაპირობაა და რომელიც გულისხმობს:

- ❖ ადგილობრივ ორგანოს გააჩნდეს საკუთარი ხაზინა, ბიუჯეტი და ანგარიშწარმოება საკუთარი შემოსავლების აკრეფის უფლებამოსილებასთან ერთად;
- ❖ მას უნდა ჰყავდეს საკუთარი, კვალიფიციური მომსახურე პერსონალი, მისი დაქირავების დათხოვნის და დაწინაურების უფლებით;
- ❖ ფლობდეს საკუთარ ქონებას და გააჩნდეს აუცილებელი ინფრასტრუქტურა;
- ❖ ჰქონდეს არჩეული საკრებულოს არსებობა;

ქართული კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აძლევს უფლებას, შეიმუშაონ დააფინანსონ და განახორციელონ ადგილობრივი განვითარების პროგრამები. მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო საქმეები. ასევე საქართველოს მთავრობამ ადგილობრივ მთავრობას გადასცა გარკვეული კომპეტენციები, რომელთა განხორციელება ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტურია, მაგრამ ცენტრალურ მთავრობას დასასრულებელი აქვს რესურსების და ქონების გადაცემის პროცესი. რომლის გარეშე ძალიან ძნელი იქნება საუბარი დეცენტრალიზაციის ხარისხსა და თვითმმართველობის ეფექტიანობაზე.

დეკონცენტრაცია

როდესაც ცენტრალური ხელისუფლება მიიჩნევს, რომ უფლებამოსილებათა გადაცემა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის სახიფათოა ან შეუძლებელია ადგილობრივი ადმინისტრაციის უზარობის გამო, მათ ყოველთვის შეუძლიათ გადასცენ უფლებამოსილება ადგილობრივ სამოქალაქო მოსამსახურეებს, რასაც ეწოდება დეკონცენტრაცია, ეს არის სიტუაცია, როდესაც უფლებამოსილების დელეგირება ხდება ოფიციალური პირისთვის, რომელსაც ნიშნავს და რომელიც ანგარიშგებადია ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. დეკონცენტრაციის დროს უფლებამოსილების გადაცემა არ ხდება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლისათვის, რომელიც პასუხისმგებელია ამ თემის მოსახლეობის წინაშე, ამგვარად დეკონცენტრაცია ემსახურება ტექნიკური ეფექტურობის და არა ხალხის წარმომადგენლობის მიღწევას.

კონტროლი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე

დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე კონტროლს „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის შესაბამისად ახორციელებს რწმუნებულის აპარატი, ავტონომიურ რესპუბლიკებში კი პრემიერ-მინისტრი ან განსაკუთრებულ შემთხვევაში სახელმწიფო მინისტრი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კონტროლს დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ გამოცემულ ნორმატიული აქტებზე.

ზოგადი მიმოხილვა სამართლებრივი აქტების შესახებ და მათზე კონტროლის მექანიზმები

სამართლებრივი აქტები

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი სისტემის შექმნას. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული აქტები თანდათან ექცევა სამართლებრივ ჩარჩოებში და სრულყოფილი ხდება იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით. დღეისათვის სამართლებრივი აქტის მომზადების, მიღების გამოქვეყნების, მოქმედების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. ნორმატიულ აქტს მატერიალური თვალსაზრისით კანონი შეიძლება ეწოდოს. ამგვარად ნორმატიულ აქტად შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციური კანონიც და საკრებულოს დადგენილებაც. ნორმატიულ აქტებს ახასიათებს შემდეგი თვისებები:

- ❖ მიღებული უნდა იყოს, კომპეტენტური (უფლებამოსილი) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ.
- ❖ უნდა შეიცავდეს მრავალჯერადი გამოყენებისთვის გათვალისწინებულ საკანონმდებლო ქცევის წესებს, რომელთაც მუდმივი ან დროებითი ხასიათი შეიძლება ჰქონდეთ. ამასთან თუ აქტი ატარებს დროებით ხასიათს ამის შესახებ, როგორც წესი მითითებული უნდა იყოს ნორმატიულ აქტში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტია მხოლოდ საკრებულოს დადგენილება. ადგილობრივი თვითმმართველობის არცერთი სხვა ორგანო ან თანამდებობის პირი არ არის უფლებამოსილი გამოსცეს ნორმატიული აქტი. რაც შეეხება ინდივიდუალურ აქტებს ამ სახით სამართლებრივი აქტების გამოცემათა წრე შედარებით უფრო ფართოა. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლება აქვთ, როგორც საკრებულოს ისე საკრებულოს თავმჯდომარეს და გამგებელს.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. იგი მიიღება მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო. ამ სახის ზედამხედველობა ძირითადად ხორციელდება ექსკლუზიური და ნებაყოფლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზე, ასევე დელეგირებული უფლებამოსილების შემთხვევაში.

საფინანსო კონტროლი

საფინანსო კონტროლის ფორმები

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 57-ე მუხლი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო კონტროლის ფორმებად განსაზღვრავს:

- ◆ აუდიტორულ შემოწმებას;
- ◆ საფინანსო შემოწმებას.

აუდიტორული შემოწმება

აუდიტორული შემოწმება ორგანული კანონის 57-ე მუხლის თანახმად შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთხელ, ამასთან მის ჩასატარებლად აუცილებელია საკრებულოს წევრების 1/3-ის წერილობითი მოთხოვნა. აუდიტორული შემოწმება უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საფინანსო შემოწმება

საფინანსო შემოწმება, რომელსაც საკრებულოს ან საფინანსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ატარებს საკრებულოს საფინანსო კომისია, მოიცავს საკრებულოს და გამგებობის მიერ უკვე გაწეული ხარჯების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის შეფასებას. საფინანსო შემოწმება უნდა განხორციელდეს საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით. საფინანსო

შემოწმების ჩასატარებლად საკრებულოს შეუძლია ხელშეკრულებით დაიქირაოს დამოუკიდებელი ექსპერტები და ასევე აქტიურად ითანამშრომლოს ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან.